



## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

### თვალჭრელიძე გიორგი ალექსანდრეს ძე

თვალჭრელიძე გიორგი ალექსანდრეს ძე [27. XII. 1914 (9. I. 1915), ქ. ნოვოჩერკასკი, რუს. ფედერაცია, - 3. XII. 1991, თბილისი], გეოლოგი. საქართველ. მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1979), გეოლ.-მინერალოგიურ მეცნ. დოქტორი (1959), პროფესორი (1961), საქართველ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1973). 1938 დაამთავრა საქართველ. ინდუსტრიული ინ-ტის სამთო-გეოლ. ფაკულტეტი. 1946-81 მუშაობდა ა. თვალჭრელიძის სახ. კავკასიის მინერ. ნედლეულის ინ-ტში, 1981-88 იყო საქართველ. მეცნ. აკად. ა. ჯანელიძის სახ. გეოლ. ინ-ტის დირექტორი; 1988-იდან - ამავე ინ-ტის დირექციის მრჩეველი. თ. იკვლევდა სასარგებლო წიაღისეულის გეოლ. და მეტალოგენიის საკითხებს. თავის ნაშრომებში განაზოგადა საქართველოს, კავკასიის და მთელი ხმელთაშუა ზღვის სარტყლის ქვეყნებში ენდოგენური მეტალოგენიისა და სასარგებლო წიაღისეულის განაწილების კანონზომიერების საკითხები. ხელმძღვანელობდა მეტალოგენიურ კვლევებს კავკასიაში, მისი თაოსნობით და უშუალო მონაწილეობით შედგა კავკასიის, ყირიმის, კარპატებისა და ბალკანების მეტალოგენიური რუკები. ეწეოდა პედ. მოღვაწეობას თსუ-ში. თ. იყო მადნეული საბადოების გენეზისის საერთაშ. ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი, საკავშ. აკად. მადანწარმოების საბჭოს კავკ. სექციის თავმჯდომარე, კავკასია-ყირიმ-კარპატების პეტროგრაფიული საბჭოს თავმჯდომარე, საკავშ. პეტროგრაფიული კომიტეტის წევრი და სხვ. მიღებული აქვს საქართველ. მეცნ. აკად. ა. ჯანელიძის სახ. პრემია (1986) და სახელმწ. ჯილდოები.

*თბბ.*: Эндогенная металлогения Грузии, М., 1961; Рудные провинции мира. Средиземноморский пояс, М., 1972; Металлогенические особенности главных типов вулканических поясов, М., 1977.

***მ. ყუფარაძე***

---